სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

24 აპრილი 2026

N 21/5585

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს ,,ჯორჯია მეტალიქს გრუპს“
ელფოსტა: dimitrychxenkeli@hotmail.com

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 16 აპრილს შპს ,,ჯორჯია მეტალიქს გრუპმა“, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობაზე **(ქ. ქუთაისში შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“ ფოლადსადნობი საამქროს რეკონსტრუქცია-ექსპლუატაცია)** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა სკოპინგის დასკვნის მიღების თაობაზე განცხადება. განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/8132ea03-8e9e-4079-8ad4-d2a5c16a7d27.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 15 მაისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება **2026 წლის 7 მაისს, 12:00 საათზე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და 2026 წლის 7 მაისს, 15:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვიტირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.** სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტებთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, **გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში),**

ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.

ამასთანავე, გთხოვთ, ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება უზრუნველყოთ როგორც **ქუთაისისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიების** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს (ქ. ქუთაისი, შევჩენკოს ქუჩა N20; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა მესხეთი), ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ.: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ.

საჯარო განხილვასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს (დავით აღმაშენებლის გამზ. №150, 0112 თბილისი; ელფოსტა: eia@mepa.gov.ge; ტელ.: +995 32 2 439 556/+995 32 2 439503).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება – 2 გვერდი

- სკოპინგის განცხადება – 1 ფაილი

- სკოპინგის განცხადების თანდართული დოკუმენტები – 1 ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/5585-21-2-202604241020

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE